N181 2 დეკემბერი 2019 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

№17399 "03" 12 2019 2/206

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „ემკვადრატის პარკი" გეგმავს ქ. თბილისში, ა. ბაქრაძის ქ. №7-ის და მარშალ გელოვანის გამზირი №1-ის შორის (მტკვრის მარჯვენა სანაპირო), რესტორან „ვენეცია"-ს მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:№01.10.10.025.106) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას.

აღნიშნული კომპლექსი მოიცავს: საცხოვრებელ კორპუსებს, კომერციულ ობიექტებს, განათლების ობიექტებს (საბავშვო ბაღი, სკოლა) დასასვენებელ, გასართობ და გამაჯანსაღებელ ობიექტებს.

შიდა ქსელის პროექტის მიხედვით, კომპლექსის ელექტრომომარაგებისათვის საჭიროა გაშენდეს ელ. ქსელი რომელიც უზრუნველყოფს P=14000kW სიმძლავრის მიწოდება-განაწილებას.

P=14000kW სიმძლავრეზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ს.ს. „თელასი"-ს ტექნიკური პირობის თანახმად ქვესადგური „დიდუბე 220"-ის 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებლიდან საპროექტო ტერიტორიამდე გასაშენებლია ახალი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა 2900 მეტრი სიგრძის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის ერთი მხარე მიერთდება ქვესადგურ „დიდუბე 220"-ის 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელში საპროექტო სახაზო უჯრედის გამომყვან მომჭერებზე, ხოლო მეორე მხარე საპროექტო ტერიტორიაზე ასაშენებელ 35/04 კვ მთავარ სატრანსფორმატორო 35 კვ ძაბვის შემტან უჯრედის მომჭერებზე.

ვინაიდან, 35 კვ და მეტი ძაბვის ეგხ-ს განთავსება წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ

595106683
599540208

საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიში;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

შპს „ემკვადრატის პარკი"-ს დირექტორი

ირაკლი ბურდილაძე

შპს "ემკვადრატის პარკი"
405116716
M SQUARE PARK" LLC